# სახალხო გაზეთი

№ 254 კვირა, 13 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 254

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაზან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ცალკე განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი ხიონია ალექსის ასული რუსიშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას თავიანთ საყვარელ შვილის

ოლა ალექსანდრეს ასულის რუსიშვილის.

პანაშვიდი დანიშნულია საღამოს 7 საათზე (ცხინვალის ქ. № 10) მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან ხვალ 13 მარტს, დილის 9 ს. სამების ეკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

მარიამ ანდრიას ასული პაატაშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჭიჭინაძე, ნინო, გიორგი, ილარიონი, დავით და გახილ ივანეს ასული და ძენი, ოლღა სპირიდონის ასული და ნატალია ისაკის ასული პაატაშვილები, ნინო და ნიკოლოზ ჭ-ჭინაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 მარტს, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ანნა ივანეს ასულის პაატაშვილი—ჭიჭინაძისას.

წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი 12-ზე. (2—507—2)

ეკატერინე გრიგოლის ასული და დიმიტრი იასეს ძე კანდელაკნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო მეორისა—ძმა გენერალ-მაიორი

ბარაბ იესეს ძე კანდელაკი.

განსვენებულს სადგურ ნატანებში მოასვენებენ კვირას, 13 მარტს, დაკრძალვა სამშაბათს, 15 მარტს, სოფ. ჯუმათში. (1—1143—1)

13 მარტს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის

ალექსანდრე დავითის ძის გოგნიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი. (1—1108—1)

დამწუხრებული მღვდელი გიორგი ომარაშვილი და მეუღლე მისი მარიამ იოსების ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 მარტს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ გადახდილი იქნება მე-9 დღის პანაშვიდი ძვირფას შვილის ტფ. ეპარქიალურ სასწავლებლის მერვე კლასის მოსწავლის

ნუნას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზედ. (1—1142—1)

## სახაზინო თეატრი

კვირას, 13 მარტს, 1911 წ. უკანასკნელი ლექცია

ა. ნ. ლისოვსკისა

ამ თემაზე: ინტელიგენციის ტრაგედია. რუსულ ახალ მწერლობის ეპილოგი. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 30 კ.—3 მანეთამდე, შეგირდებისათვის 40 კ. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება ყოველ დღე დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს. ლექციის კონსპექტი თეატრის კასაში იყიდება 10 კაპეიკად.

(1—510—1) რწმუნებული თ. დოლიძე.

## ტფ. არტისტიული საზოგად. საკონცერტო დარბაზი

კვირას, 27 მარტს 1911 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესდგება

## ქართული სასულიერო კონცერტი

სასულიერო სემინარიის ხორო ბ-ნ ი. კარგარეთელის დირიჟორობით შეასრულებს ქართულ საეკლესიო საგალობლებს კლენოვსკისას, იპოლიტოვ-ივანოვისას, ფალიაშვილისას, მონადირიშვილისას, კარგარეთლისას და კარბელაშვილისას.

დაწვრილებით აფიშებში. (11—1141—1)

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა

## წინამძღოლი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს იწვევს თავად-აზნაურთა საგანგებო საგუბერნიო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 13 მარტს, ამა წლისა, შუადღის 12 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

კრების საგანია:

ა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიერ თავად-აზნაურთა თეატრის იჯარით აღება და

ბ) ძველად ყოფილ საზოგადოებრივ მზრუნველობის გამგეობაში დაგირავებულ მამულთა საკითხი. (3—1138—3)

## „ნაკადულის" რედაქციაში

იყიდება მხატვრული ასაწყობი ქართული „ან-ბანი" კუბიკებზე

ფასი ერთი მანეთი. (2— —1)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## გაფრთხილება

რადგანაც მიმსგავსებული პაპიროსები გამოსცეს

მარსი, 20 ცალი 5 კ. ძმ. სეილანოვების

ქარხანა საზოგადოების ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ ნამდვილ პაპიროსებს

„მ ა რ ს"

უნდა ეწეროს პაპიროსებზე

## ძმ. სეილანოვები

(5—1144—1)

## ყავა იაპონურ სოიის „არგოს" მხანაგობისა.

ნოყიერი, გემრიელი, იაფი! საექიმო საბჭოს მიერ ნება-დართული მ. ს. ს. № 2175. 40% ცილას შეიცავს, 25%—სიმსუქნეს, 1,6% ფოსფორის სიმჟავეს.

გულზე და ნერვებზე არ მოქმედობს.

1910 წ. გამოფენაზე 4 უმაღლესი ჯილდო მიიღო.

ნიმუში, ანალიზი და ბროშურა, სადაც ექიმთა აზრია გამოთქმული, უფასოდ მოითხოვეთ,

ყველგან იყიდება.

ვინც პირდაპირ ქარხნიდან (დაბა ყვირილა, ქუთაისის გუბერნია), 5 გირვანქას მაინც დაიბარებს, გასაგზავნისა და ყუთში ჩასახვევ ხარჯს არ იხდის. 100—1041—6

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

## ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

## ი. გოკიელოვი და ძმ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემთხვევაში სათასურით. (წ.—1089—417)

## ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხაზვებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—21)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გოლოვინის პ., № 9. (უ)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. გოკიელისა

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—60)

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(შო — 1090 — 13)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

## ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—13)

## ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ —188—21)

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ჟორდანიოვის ქ., N 20. (0—5.—70)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

## ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—190—105

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—333

## ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი. (50—15—41)


## ტფილისი, 13 მარტი

**ომის მოლოდინში.** რუსეთსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში მაინც ამოძრავდა ჯარები. რუსეთის სატახტო გაზეთებში აურიებელი ცნობებია ჩინეთის ჯარების მოძრაობის შესახებ. ხშირად ეს ცნობები ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ხანდისხან გადამეტებული ცნობებიც მოდის, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი ომისთვის ემზადება. რა სამხედრო ძალა აქვს ჩინეთს ამის გამორკვევა ძნელია. ენტუზიაზმი კი დიდი ემჩნევა. დღე ისე არ გაივლის რომ გაზეთებმა არ გვაუწყონ, ჩინეთის საზოგადოება ომსა თხოულობსო. ჩინეთის მთავრობა თითქოს თანახმაა რუსეთს დაუთმოს, დიპლომატიურს მოლაპარაკებიდან მაინც ასე სჩანს, მაგრამ ჩრდილოეთ მანჯურიას მაინც ამაგრებენ. საყურადღებო ისაა, რომ იაპონიაც ემზადება სამხრეთ მანჯურიის ოკუპაციისთვის. ახლა ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ რუსეთის თურქესტანსა და სემირეჩიაში უკვე მოხდა „საცდელი მობილიზაცია", მოიგონეთ, რომ რუსეთის ჯარები ჩინეთის საზღვრებიდან სულ ასი ვერსის მანძილზე სდგანან,—გაითვალისწინეთ ყველა ეს და დარწმუნდებით, რომ შორეულ აღმოსავლეთში მართლაც თოფის წამლის სუნი ტრიალებს.

გაზეთების ცნობით, ჩინელები ომის მოლოდინში არიან; საზოგადოების ერთი ნაწილი კიდეც თხოულობს ომსა. ვერ ვიტყვით, რომ რუსეთიც ასეთის ერთსულოვნობითა ხვდებოდეს ომის ამბებს. მილიუკოვი მაგალითად, გადაჭრით აღიარებს, რომ 1881 წლის ხელ-შეკრულობა არც ისეთის ხასიათისაა, რომ მის გამო ულტიმატუმები იწერებოდესო. მილიუკოვი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მოქმედებით სხვები ისარგებლებენო. პროფესორი სობოლევი, რომელიც მონგოლეთში იყო გაგზავნილი რუსულ ვაჭრობის შესასწავლად, იმ აზრისაა, რომ შორეულ აღმოსავლეთის დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურა სრულიად არ უწყობს ხელს რუსეთის კატეგორიულ მოთხოვნებს. პროფესორი სობოლევი აფრთხილებს რუსეთის დიპლომატებს, მართალია, იაპონია დღეს რუსეთის მხარესაა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია პირი იბრუნოს და მეგობრობის მაგივრად მტრობა გაგვიწიოსო.

რა თქმა უნდა, რუსეთშიაც არიან ისეთები, რომელნიც საჭიროდ ხედავენ ომის გამოცხადებას, მაგრამ მათი რიცხვი საზოგადოდ ცოტაა. საერთო სურათი ისეთია, რომ საზოგადოებრივი აზრი რუსეთისა ომის გამოცხადებას ერიდება. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ რუსეთის მთავრობამ საზოგადოების ამ სულიერს განწყობილებას ანგარიში არ გაუწიოს...

## ქართული პრესა

ამ დღეებში ჩვენი აზრი გამოვსთქვით იმ თათბირის შესახებ, რომელიც ქალაქის საარჩევნო უბნების გამრავლების გამო გაიმართა. მოვიყვანეთ მოსაზრება გუბერნატორისა და ხატისოვისა და აღვნიშნეთ, რომ ამ თათბირზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ნაციონალიზმი. ამავე საკითხს ეხება გაზეთი „ახალი საქმე" და აღნიშნავს მეორე მხარეს გუბერნატორის მოსაზრებისას, რომელიც ჩვენ არა ნაკლებ საგულისხმიეროდ მიგვაჩნია.

ჩვენ, რასაკვირველია, ეჭვი არ გვეპარება ბ-ნ გუბერნატორის მოსაზრებების გულწრფელობაში, სწერს გაზეთი,—რომ სწორედ ყველა ეს საბუთები აქვს მას სახეში, მაგრამ უმთავრესი საბუთი, ასე ვსთქვათ, მთელი სარჩული ამ განზრახვის შემდეგშია: დღევანდელ საბჭოში გაბატონებულია ინტელიგენტური, თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელნი. ამ ინტელიგენციას კი მუდამ ლიბერალიზმიც თან ახლავს. დღევანდელი საბჭო, ახე თუ ისე, ლიბერალურია... საჭიროა მისი ლიბერალურ კბილის მოტეხა... სწორედ ამისათვის სურს ბატონ გუბერნატორს, რომ მომავალ საბჭოში მეოჯახური ელემენტი (Хозяйственный элементъ) გაძლიერდეს.

გაზეთი ჰფიქრობს, რომ ასეთი სურვილი რუსეთის შინაურ პოლიტიკის საზოგადო მიმდინარეობის გამონაკლისია. მას სასარგებლოდ არ მიაჩნია ასეთი მიმდინარეობის გაბატონება ქალაქის თვითმმართველობაში. გაზეთი დარწმუნებულია, რომ უფრო მიზნის შესაფერი იქნებოდა ქალაქის მრავალ უბნებად დანაწილება, მაგრამ იმ პირობით, რომ კანდიდატთა

საერთო სია იქნება წამოყენებული. ამრჩეველთა და არჩეულთა შორის პირადი ნაცნობობისა და მეზობლობის კავშირი კი არ უნდა სუფევდეს, არამედ საერთო მუნიციპალური პროგრამა.

თავის მეთაურ წერილის დასასრულში გაზეთი აღნიშნავს, რომ მას, მიუხედავად ამისა, მაინც სასარგებლოდ მიაჩნია ქალაქის მრავალ საარჩევნო უბნებად დანაწილება, რათა ამ საშუალებით 1) ამომრჩეველთა უფრო დიდმა ნაწილმა მიიღოს მონაწილეობა და 2) ცენტრის მსხვილი ბურჟუაზიის დიქტატურას რაოდენამდე მაინც შეეკვეცოს ფრთები განაპირა უბნების სასარგებლოდ.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

**ზამისლოვსკი.** წარსულს კრებაზე გეგეჭკორმა ცილი დამწამა, ვითომც 10 წლის წინად სამსახურში სოყალბის ჩადენისათვის დაბალს ადგილზე გადავეყვანეთ—სოციალ-დემოკრატებმა ორჯელ დამწამეს ცილი: ერთხელ, ვითომ საარჩევნო სამზადისის დროს მთავრობის წინაალმდეგ მელაპარაკნოს, მეორედ—ვითომ ებრაელთა უფლებრივ გათანასწორებას გამოვსარჩლებოდე. ეხლაც, თუმცა გეგეჭკორი დაგვპირდა იმ პირის დასახელებას, ვისგანაც ცნობა მიუღია, მაგრამ არ კი დაგვისახელა.

**გეგეჭკორი** (ადგილიდან). დაგისახელეთ. ეგ—მაშინ იყო.

**გადასახადების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვაზე კამათობენ.**

**დმიტრიუკს** სასურველად მიაჩნია მთავრობამ ნამდვილი ზომები შეიმუშაოს შავ-ზღვის ნაპირებზე უცხოელთა ასაყრელად და კავკასიაში ახალ თავისუფალ ადგილებზე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გლეხების გადასასახლებლად.

**ტიმოშკინი** დმიტრიუკის აზრს ემხრობა.

**ჩხეიძე.** მთავრობა კავკასიაში მხოლოდ გარუსების პოლიტიკას მისდევს და ადგილობრივ მკვიდრთა საკუთრებას ფუქსავატად ეკიდება. ხალხს უმიწობით სული ჰხდება მიწას კი არ აძლევენ, ხოლო ოსმალეთიდან გადმოსულებსაც კი ეპატიჟებიან. ქართველებს უნდათ რუსის ხალხთან მეგობრად დარჩნენ, გარუსება კი არა ჰსურთ, ისევ როგორც რუსებს არა უნდათ გაქართველება.

**გაიდაროვი.** დაღისტანის მუსულმან მოსახლეობას გადამსახლებელი სამმართველო მეტად თავხედად ეპყრობა. რუსი გლეხობა, იმ სადაოდ გამხდარ მამულში ჩაასახლეს, რომელიც მუსულმანთ ეკუთვნოდა,—ვერ იხეირებს. ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვითა და დმიტრიუკის ფორმულით ღებულობენ.

**კორიაკვი** სახელმწიფოს ცხენების მოშენების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობს, რომლის ჯამიც კომისიას 90,275 მანეთათ შეუმცირებია და 2,035,179 მანეთს უდრის.

**კინდიაკოვი** თხოულობს ეს სამმართველო მიწადმოქმედების სამმართველოს გადაეცეს.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**გუჩკოვი თავმჯდომარეობს.**

მინისტრთა ლოჟაში სამხედრო მინისტრია.

**ხვოშჩინსკი.** მთავარ საინტენდანტო სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობს, რომელიც 344,474,753 მანეთს უდრის.

**ბაბიანსკი.** გენერალურ შტაბის უნუგეშო მდგომარეობას აღნიშნავს.

**სამხედრო მინისტრის თანაშემწე შილიჯანოვი.** სამხედრო სამინისტროს ესმის ჯარისთვის მთავარ შტაბის დიდი მნიშვნელობა და ყოველ ზომებსა ღებულობს მის გასაუმჯობესებლად.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**ლუკაშევიჩი.** არტილერიის მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობს, რომელიც 44,695,482 მანეთს უდრის.

**შინგარევი.** ქვეყნის დაცვა ყველასათვის ძვირფასია (ხმები მარჯვნივ: „განსაკუთრებით კადეტებისათვის“). თუ სათათბიროს წევრი მარკოვი თავის თავს ამის თქმის ნებას აძლევს, მოვახსენებ, რომ სტყუის, ან განგებ არა ჰსურს დაინახოს ის, რაც არის. სამინისტრომ გადაჭრილი ზომები უნდა მიიღოს სამინისტროს გასაჯანსაღებლად. მან ხალხის წარმომადგენელნი უნდა დაამშვიდოს და უთხრას, ბოროტ-მოქმედებათ სათავეშივე მოვსპობთო (მარცხნივ ტაშის ცემა).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. ასტრახანცევი აღნიშნავს, რომ ამ უწყების მუშებს მეტად მძიმე პირობებში და დაბალ ფასებში ამუშავებენ, მუშები მოთმინებიდან გამოვლენ და უწყებას ანგარიშს მოსთხოვენ.

**ნოვიცკი მეორე.** ჯარს სწრაფსაროლ ზარბაზნების სრული კომპლექსი აქვს. საარტილერიო უწყება ღირსეულ სიმაღლეზე სდგას. სამხედრო მომზადება ჩინებულადაა დაყენებული. თუ ზარბაზნების ჩამომსხმელ ქარხანაში ურიგობა რამ აღმოჩნდა, ეგ საქმის სირთულით აიხსნება და იმისი ბრალიცაა რომ სოციალისტები მუშებს აღელვებენ.

**მარკოვი მეორე** (შინგარევს უპასუხებს) სახელმწიფოს განსაცდელზე ლაპარაკი კადეტებს არ შეჰშვენით: მათ გამოსცეს ვიბორგის მოწოდება, ჯარს ურჩობას! ურჩევდნენ, სახელმწიფოს მოღალატენი არიან.

**თავმჯდომარე:** ორატორს წესიერებას აგონებს.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**თავმჯდომარე.** 200 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი კანონ-პროექტი მიიღეს დასავლეთ ექვს გუბერნიაში საერობო თვითმმართველობის შემოღებისა (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

კანონ-პროექტზე პირველად სათათბიროს თავმჯდომარე გუჩკოვს უწერია, მერე ოქტომბრისტებსა და ნაციონალისტთა მთელს შემადგენლობას.

**სადამოს სხდომა კარეშუთა დაუსწრებლად მოხდა. გუჩკოვი თავმჯდომარეობს.**

მინისტრთა ლოჟაში სამხედრო მინისტრის თანაშემწე პოლივანოვი და სამხედრო სამინისტროს მთავარსამმართველოთა უფროსია.

**სავიჩი.** სამხედრო სამინისტროს მიერ ქვეყნის დაცვის ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობს, რომელიც — 38,006,000 მანეთის გადადებას ითხოვს ჯარის ნივთიერსა და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა მოსახდენად.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ. სავიჩისავე მოხსენებით სამხედრო სამინისტრო საიდუმლო ხარჯთათვის 1911 წ. 1,443,720 მანეთის გადადებას ითხოვს, რომელიც უკამათოდ მიიღეს.

**სხვოშჩინსკის** მოხსენების თანახმად ყაზარმათა ასაგებად 1,800,000 მან. უკამათოდ გადასდეს, აქედან 300,000 მან. უნდა მიეცეთ ყაზარმათა ამშენებელ ერობათ, ქალაქებსა თუ კერძო პირთ სესხად.

**სავიჩის** მოხსენებით სანამთო ქონების შესანახად 7,910 მან. გადასდეს, ხოლო სავარჯიშო სროლისთვის ზედ-მეტი პატრონების შესაძენად—220,000 მანეთი. უკამათოდ ღებულობენ არსებულ დებულებათა ზოგიერთ ცვლილებას მობილიზაციის დროს მკვიდრთა მიერ ცხენების, ურმებისა, სხვა შესაძლებლისა და სამუშაო საქონლის გამოყვანაზე.

ამის მერე კრებაზე გარეშენიც შეუშვეს.

**პროტოპოპოვის** მოხსენებით დაადგინეს ნიკოლოზის სამხედრო აკადემიისათვის მუდმივად გადასდონ ხოლმე 110,073 მან. ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**კორიაკოვის** მოხსენებით უკამათოდ ღებულობენ კანონ-პროექტს ქალაქისა, პოსადისა და დაბათა უძრავ ქონებაზე 1911 წ. გადასახადს, რომელიც 14,390,000 მან. უდრის. ამ ხარჯისაგან ქ. ვერნა განთავისუფლეს, რადგანაც უბედურებამ დააზარალა.

**დმიტრიუკოვი.** კანონ-პროექტს კითხულობს, რომლითაც ხარჯთ ამკრებ მთავარ სამმართველოს 33,695 მანეთი უნდა მიეცეს 1910 წ. ზედმეტ სესხისათვის ალექსანდრეს სახელობაზე არსებულ დაჭრილთა კომიტეტისათვის; 1,800,000 მან. არმიის მხედრებს და 600,000 საზღვარ-გარედ სპირტის გამტანთა ჯილდოდ.

პროექტს დიდის უმრავლესობით ღებულობენ.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **თავად დადიანის პრემია.** ამას წინად ვწერდით, რომ უგანათლებულეს თავად გრიგოლ დადიანის პრემიის (400 მან.) მისაღებად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას ბ-ნმა პეტრე ქარაიამ თავისი თხზულება „ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი“ წარუდგინა. იმ კითხვის გადასაწყვეტად, მიეცეს თუ არა ეს პრემია ბ-ნს ქარაიას, 10 მარტს კრება ჰქონდა საგანგებო საპრემიო კომიტეტს ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის თავჯდომარეობით. კომიტეტის წევრთაგან კრებას დაესწრნენ: მოსე ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ს. გორგაძე, ალ. ყიფშიძე და დავით კარიჭაშვილი. კომიტეტმა პირველად მოისმინა წ.-კითხვის მთავარ გამგეობასთან შემდგარ ფილოლოგიურ კომისიის წერილობითი აზრი ამ თხზულების შესახებ და შემდეგ წერილობითი აზრი შემდეგ პირებისა: პროფ. მარრისა, ექ. თაყაიშვილისა, ი. ყიფშიძისა, მ. ჯანაშვილისა და ივ. ჟორდანიასი. კომიტეტმა თათბირისა და კამათის შემდეგ დაადგინა: მიეცეს პეტრე ქარაიას გრ. დადიანის სახელობის პრემია 400 მანეთი. ამასთანავე გამოსთქვა სურვილი, რომ პეტრე ქარაიამ თავისი თხზულება დაამთავროს.

✦ 11 მარტს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია **საქმე „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორ რ. დ. ბებიაშვილისა** და კერძო ვექილის პ. პ. ლუნკევიჩისა, რომელთაც ოლქის სასამართლოსთან არსებულ ნაფიც მსაჯულთა კონსულტაციის მდივანი ნაფ. ვექილი ბ. მ. ბროდსკი უჩიოდა, გაზეთით ცილი დამწამესო. საქმის გარჩევას დიდ ძალი ხალხი და ვექილები დაესწრნენ. ბროდსკის ნაფიცი ვექილი დოლუხანოვი იცავდა, ხოლო ბრალდებულნი თავის თავს თვით იცავდა. ბროდსკის მხრივ გამოწვეული იყო ათამდე ტფილისელი ვექილი, ხოლო ლუნკევიჩის მხრივ-სამი, რომელთაგანაც ორი არ გამოცხადდა სასამართლოში. საქმის გარჩევამ საღამოს $5^1/_2$ საათამდე გასტანა. სასამართლომ ბ-ნნი ბებიაშვილი და ლუნკევიჩი დამნაშავედ იცნო და თითო თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბ. მ. ბროდსკის ვექილმა დოლუხანოვმა სასამართლოს თავჯდომარეს სთხოვა, განაჩენის იმ ნაწილს, რომელიც რედაქტორ ბებიაშვილს შეეხება, სისრულეში ნუ მოიყვანთო, მაგრამ ბ-ნმა ბებიაშვილმა არ ისურვა ეს და საქმე სასამართლო პალატაში გადააქვს. რადგან ეს საქმე მეტად საინტერესოა უფრო დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

✦ **კარგა ხანია „საფალავანდიშვილო მთაში“**, რომელიც გორის მაზრაში მდებარეობს, რკინის გზის სადგურ გომიდან 20 ვერსის მანძილზე, სხვა და სხვა ძვირფასი მადნეულობა აღმოჩნდა. მთის მეპატრონეებს ამ ჟამად თურმე მოლაპარაკება აქვთ უცხოელ კაპიტალისტებთან მთის იჯარით გაცემისა და სადგურ გომიდგან მთამდე რკინის გზის გაყვანის თაობაზე.

✦ **ქართველი პოეტ-ბელეტრისტი იაკობ ცინცაძე**, რომელიც იაეკალაძის ფსევდონიმით სწერს და რომელმაც წელს ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი გაათავა, ნაფიც ვექილთა წოდებაში ჩაეწერა.

✦ **ბათომის ქალაქის გამგეობის წევრად** გ. დ. ჟურულის ნაცვლად ე. მ. კრინიცკი აირჩიეს.

✦ მოსკოვში გარდაცვლილ იქმნა **იუბილეი ცნობილ მომღერალ არაყიშვილისა**, რომელსაც ტფილისიდან მრავალი მილოცვის დეპეშა გაეგზავნა. ასეთი დეპეშა, სხვათაშორის, მიხეილ კავსაძის მეთაურობით შემდგარმა მომღერალთა გუნდმაც გაუგზავნა.

✦ დღეს სახაზინო თეატრში ლექტორი ლისოვსკი წაიკითხავს **უკანასკნელ ლექციას** შემდეგ თემაზე: „ტრაგედია ინტელიგენციისა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

✦ დღეს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სახალხო სახლში მართავს როზოვის **ლექციას: „პოეტი ნეკრასოვი“**. დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ ამ დღეებში ექიმი სობოლევსკი მიემგზავრება ქუთაისსა და ბაქოში, სადაც წაიკითხავს ლექციებს თავის მოგზაურობის შესახებ შუაგულ აფრიკაში და იმის თაობაზე, თუ როგორ გადარჩა თვითონ ხუთ კაცში, რომლებიც მოგზაურობის დროს დაიხოცნენ.

✦ როგორც მოსკოვიდან იუწყებიან, პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი მძიმედ გამხდარა ავად ფილტვების ანთებით.

✦ **ტფ. ტრამვის დირექტორად ნამყოფი ბატაილი**, რომელიც სამართალშია მიცემული ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების გამო, ტფილისში ჩამოვიდა. მის საქმეს ოლქის სასამართლო 17 მარტს გაარჩევს

✦ ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სცენებზე წარმოსადგენად გ. ფოცხოველის დრამა, 4 მოქმედებად **„ცხოვრების გარშემო“**.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მორიგი (5) ნომერი მცირე წლოვანთათვის.

✦ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** „მოსე მწერლის“ ლიტერატურული გასამართლება, რომელიც 11 მარტისთვის იყო დანიშნული, სხვა დროისთვის იქმნა გადადებული. 11 მარტისთვის აღებული ბილეთები გამოდგება მომავალ სალიტერატურო გასამართლებისთვის. ვისაც სურს, შეუძლიანთ თეატრის კასაში ბილეთები დააბრუნონ და ფული უკან მიიღონ.

✦ 11 მარტს ტფილისში **შეაშინეს შეგირდი სიდამონის ასული აზმაიპარაშვილისა**, რომელიც გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 11 მარტს ტფილისში 6 **უპასპორტო** შეიპყრეს.

## ქუთაისი

✦ 7 მარტს **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება** მოხდა. საბჭომ სხვათა შორის, დაადგინა: 1) მწერალ-ქალს ეკატერინე გაბაშვილს 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეის გამო ადრესი მიართვას თავის დეპუტატის ხელით და 2) დაკმაყოფილებულ იქმნას შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორისა, რომელიც ქალაქს სთხოვდა უფასოდ ადგილის დათმობას ქალაქის პირველ 6 კლასიან სასწავლებლისთვის. დასასრულ კრება უნდა შესდგომოდა გამგეობის წევრის არჩევას ნაცვლად იაკობ ფანცხავასი, რომელიც გუბერნატორმა არ დაამტკიცა, მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობის სურვილით არჩევანი სხვა დროისთვის გადაიდო.

# ჩუმად, ჩუმად!

ჩუმად, ჩუმად მთის ნიავო! რა გატირებს—გავალალებს?
ნუ შეახებ ფრთას გულის სიმს, ნუ შეაშრობ ცრემლს ჩემს თვალებს.

შენ რა იცი, სული ჩემი რად იტანჯვის, ან რად სჩივის?
შენ რა იცი თეთრი ვარდი ასე წითლად რისთვის ღვივის?...

ეჰ, ვინ მოსთვლის, სად არ ვიყავ, ვის გულს მე არ ჩავეძსოვე,
მაგრამ მაინც ჩემი ღმერთი ვერსად ვნახე, ვერსად ვპოვე.

დღეს მსურს ძილი, გესმის, ძილი! ძილი ღრმა და საბოლოვო,
რომ ამ ძილით ჩემს ოცნებას ფსკერით შხამი ამოვსწოვო.

ჩუმად, ჩუმად, მთის ნიავო! ფრთა, ფრთა ჩემს ტუჩს არ შეახო,
ეგებ ღმერთი ძილში მაინც დამესიზმროს—დავინახო.

ი. გრიშაშვილი.

# ახლად დაარსებულ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შესახებ

საქართველოს სოციალური და ეკონომიური ცხოვრება ვითარდება, საზოგადოებრივი სტრუქტურა და ძალთაგანწყობილებანი ძირფესვიანად გადატრიალდა მე 19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. დაეცა ძველი მეურნეობა და სამეურნეო ნაყოფთა განაწილების წესი, დაეცა ბატონ-ყმურ სისტემით შრომისა და ბუნების ექსპლოატაცია.

ძველის დანგრევა ძველ წეს-წყობილების ყოველგვარ მოვლენის მოსპობას არ მოასწავებს. ძველ ცხოვრებიდან სხვა და სხვა პირობებში იცვლება და იქმნება ახალი ძალები, მწარმოებელნი ძალები ძველ სტრუქტურის გახრწნით ვარდებიან ახალ სოციალ-ეკონომიურ სტუქტურის პირობებში და მით ავითარებენ, წარმოშობენ მთელ რიგს ახალს ახალ წესებისას.

ასეთნაირი ძველის გახრწნა და ახალის წარმოშობა განვითარდა საქართველოში გასულ საუკუნის მეორე ნახევრიდან. ნატურალურ მეურნეობის და ბატონ-ყმურ წეს-წყობილების გახრწნამ გამოიწვია და ნიადაგი მოუმზადა შრომის და კაპიტალის თავისუფლებას. მწარმოებელ ძალების ინტერესები გაფართოვდა, ინიციატივას, ნებას და მისწრაფებას—უმთავრესად ეკონომიურ სარბიელზე—გზა გაეხსნა და მით—თავისუფალ მისწრაფებათა ინტერესების ნიადაგზე წარმოიშვა თავისუფალი მეტოქეობაც.

კონკურენცია ეკონომიურ ცხოვრებაში უმაღლეს ეკონომიურ ფორმაციების და შრომის უმწვერვალესად განაყოფიერობის ბაზისია, წყაროა. როგორც კი სამეტოქეობო პირობები განვითარდა, ჩვენმა ცხოვრებამაც ამ ცვლილებით ფეხი აიდგა და წინმსვლელობა დაეტყო. დაწინაურება და უმაღლესი ნაყოფიერება ხდება ყველა საზოგადოებრივ ძალების მისწრაფების საგნად. ეს საქმე შეუძლებელია შესრულდეს განკერძოებულ პიროვნების საქმიანობითა ამისათვის საქართველოშიაც ვითარდება და იხსნება მთელი რიგი კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა, რომელთაც უპირველეს მოვალეობას შეადგენენ საქართველოს მწარმოებელ ძალების შრომის უმწვერვალესად განვითარება, შრომისა და ბუნების ნაყოფიერობის გადიდება და მთელ მეურნეობის გონივრულ წესით ვარდაქმნა.

მიაღწიეს თუ არა ამ დაწესებულებებმა თავიანთ მიზანს, ამ კითხვას ჩვენ კრიტიკულ თვალსაზრისით უკვე შევეხეთ გაზეთ „საქმეს“ ფურცლებზე[1]). იქ ჩვენ აღვნუსხეთ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მთელი რიგი დეფექტებისა, მაგრამ ყოველ-გვარს დაწესებულებას, თუნდაც იგი ბიუროკრატიული იყოს, უარყოფითი მხარეს გარდა, აქვს დადებითი მხარეც, რასაც, საუბედუროდ, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე. მიუხედავად დეფექტებისა, ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს მაინც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ და კარგად გვახსოვდეს, რომ მათი არსებობა გაცილებით უმჯობესია და უტილიტარულ-რაციონალურ თვალსაზრისით სასარგებლო, ვინემ მათი არ-არსებობა. მართლაც, აიღეთ თუნდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თავის მრავალ ფილიალურ განყოფილებებით; განა ამ კულტურულმა დაწესებულებამ თავისი წვლილი არ შეიტანა ჩვენს საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეში მრავალ ჟურნალ-გაზეთ-წიგნების მოფენით და ბიბლიოთეკების გვერდით საკუთარ ქართულ სკოლების დაარსებით? განა საიმპერატორო სას. სამ. საზ. თავის ორივე განყოფილებებით არ უნდა ჩაითვალოს ჩვენში მესვეურად სხვა და სხვა კულტურის ხალხისათვის სრულიად გაუგებარის შემოღებაში? განა საცდელი და საშინჯი მინდვრები, სანერგეები, პრაქტიკული სკოლები, ფილოქსერული კომიტეტი, სააბრეშუმო სადგური მთელ თავის ნაკლულევანობით, ოდნავ მაინც არ აუმჯობესებენ და არ მიაქანებენ—თუმცა ნელის ნაბიჯით—წინ ჩვენს ეროვნულ კეთილდღეობის საქმეს? და თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ მკაცრ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც ამ საზოგადოებებს უწევს საქმის წარმოება, მაშინ კიდევ უფრო რბილად და სიმპატიურად უნდა მოვეპყრათ მათ.

ჩვენის აზრით, კულტურულ დაწესებულებათა მოღვაწეობის მიუდგომელი და საფუძვლიანი კრიტიკა ძალიან კარგია, მაგრამ—ნება მიბოძეთ ვთქვათ—ამ კრიტიკამ, ხშირად უმართებულობამ, დაამკვიდრა ჩვენში ისეთი აზრი, თითქოს ქართულ კულტურულ დაწესებულებებში სრულიად არაფერი კეთდება, თითქოს იქ მხოლოდ დეფექტებს ჰქონდეს ალაგი. სხვათა შორის ამის ბრალიც უნდა იყოს, რომ ჩვენს კულტურულ დაწესებულებებიდან ხალხის ფართე მასსა დაშორებულია, ერთი მეორეს ისინი ვეღარა სცნობენ. ასეთ პირობებში ხსენებული დაწესებულებანი რომ ცხოვრებას მოსწყდეს, გასაკვირველიც არ არის.

არა! ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს ფხიზლად უნდა ვეკიდებოდეთ, მისი სვე-ბედი და სიცოცხლე ჩვენივე სიცოცხლედ უნდა გვქონდეს მიჩნეული. ხალხის ფართე მასის ნათესაური და კეთილშობილური დამოკიდებულება ამ დაწესებულებებს სულს შთაუბერავს, ძალას გაუასკეცებს, ხალისს მოუგვრის და ისინი ძალაუნებურად გახდებიან ძლიერნი ფაქტორნი ჩვენი კეთილდღეობის წარმატების საქმეში.

ასეთი დამოკიდებულება უნდა შევქმნათ და გავაცხოველოთ ჩვენ აგრეთვე 1910 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებულ, ხოლო ახლად ასალორძინებლად ამუშავებულ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო** სა-

[1]) იხ. „საქმე“ №№ 1—2—3 1910 წ. ჩემი წერილები: „სოფლის მეურნეობა და ბიუროკრატიის გაგონამოყვრი პოლიტიკა“.

ამის შემდეგ კრება დაიხურა და დაიწყო ხმოსანთა კერძო თათბირი გამგეობის წევრის თანამდებობაზე კანდიდატის დასასახელებლად. კანდიდატებად ასახელებენ: დ. ბ. მდივანს და პ. ი. ყიფიანს.

# ჟურნალისტის დღიური

10.

**ქართული თეატრი.**

ქართულ თეატრის სეზონმა საზოგადოდ რომ ვსთქვათ, შინაარსის მხრით, ნაყოფიერად ჩაიარა. მართალია ძველი ტრადიციები მაინც იჩენდნენ ხოლმე თავსა, მაგრამ ამასაც თავისი ასახსნელი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ტრადიციების აღმოფხვრა არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ერთის შეხედვით გვეჩვენება. ძველი ტრადიციების აღმოფხვრა არა მარტო იმიტომ, რომ სცენის მოღვაწენი „ძველები“ არიან, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, თვით მცხოვრებთა ძვალსა და რბილში გამჯდარი ეს ტრადიციები.

ვინც კი ქართულს წარმოდგენებს თვალ-ყურს ადევნებდა, დაინახავდა, რომ თანამედროვე პიესებს გაცილებით უფრო ნაკლები ხალხი ესწრებოდა, ვიდრე ისტორიულს. დრამატიულ საზოგადოებაც ძალიან ხშირად იძულებული ხდებოდა თავის პრინციპების წინააღმდეგ წასულიყო და დაეკმაყოფილებინა ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ჩვეულებრივად თეატრში არ დადიოდა. ეხლა არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა; დღეს მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

შინაარსის მხრით, ვიმეორებთ, სეზონი კარგად დასრულდა, მატერიალურად კი დაზარალდა. საზოგადოებამ საკმაო დიდის დეფიციტით დაასრულა მოქმედება. ეს, სხვათა შორის, იმითიც უნდა აიხსნას, რომ ქართველი ფართო საზოგადოება თეატრში სიარულს გადაეჩვია. მოძრაობის შემდეგ წლევანდელი სეზონი პირველ სისტემატიურ სეზონად უნდა ჩაითვალოს. ამისთანა პირობებში, თქმა არ უნდა, საზოგადოებას გაუძნელდებოდა უდეფიციტოთ სეზონის დასრულება. ამით ჩვენ არ გვინდა საზოგადოების ყოველი ნაბიჯის გამართლება. პირ-იქით, თუ ბევრი ნაკლი გამგეობამ თავიდან არ აიცილა, თუ მან ცხოვრებს ალღო არ აუღო და წმინდა სამეურნეო ნაწილი მოქმედებისა, არ მოაწესრიგა, დეფიციტს თავისდღეში ვერ აიცდება, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალ სეზონს დრამატიული საზოგადოების გამგეობა უფრო მომზადებულად დახვდება.

მაგრამ არსებობს ერთი გარემოება, რომელიც დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მოქმედებას მომავლისთვისაც ხელ-ფეხს შეუკრავს, თუ დროზე რამე არ ეშველა; ესაა წლევანდელი დეფიციტი. თუ წლევანდელი დეფიციტი რომელიმე წყაროდან არ დაიფარა, დრამატიული საზოგადოების გამგეობა უძლური იქნება მომავალ სეზონისთვისაც. ეს კი სასურველად არ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ ქველ-მოქმედების წინააღმდეგი ვართ. დრამატიული ხელოვნებაც ვერ აყვავდება, თუ იგი ქველმოქმედებას დაემყარება. მან უნდა თავისშივე ჰპოვოს ძალა და ენერგია ასაყვავებლად. მხოლოდ ეს შინაგანი ძალა შეიძლება ჩაითვალოს აყვავების უცილობელ საფუძვლად. მაგრამ ჩვენ მაინც ვალდებულნი ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ ამისათვის დროა საჭირო. დრამატიული ხელოვნება ჩვენში, განვლილ წლების შემდეგ კვლავ ფეხზე დგება. და ჩვენც არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს დახმარების ხელი არ მივცეთ კრიტიკულ მომენტის დროს.

რამდენადაც ვიცით, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოს აზრათ აქვს სწორედ ეს დამსახურების ხელი გაუწოდოს დრამატიულ საზოგადოებას. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ განზრახვას, მაგრამ ეხლავე ავღნიშნავთ, რომ დრამატიულმა საზოგადოებამ მეტი მუყაითობა უნდა გამოიჩინოს, წინდაწინვე დაიწყოს ზრუნვა მომავალ სეზონისთვის, ვინაიდან დახმარებას საზღვარი ექნება. მომავალში მაინც იგი იძულებული გახდება თავის საკუთარ ძალ-ღონით გაუძღვეს საქმეს.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს დრამატიულ საზოგადოებას და სხვათა იმედებით არ უნდა დაიწყოს მომავალი სეზონი... **შინაური.**

# სახელმწიფო საბჭო

**სპიშთვი თავმჯდომარეობს.**

მინისტრთა ლოჟაში სხედან: გზათა მინისტრი, სახელმწიფო კანტროლიერი, მიწადმოწყობის მთავარი გამგე და სინოდის ობერპროკურორი. სათათბიროს დეპუტატთა ლოჟები და გარეშე საზოგადოების ადგილები გაჭედილია.

დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემომღებ კანონპროექტის განხილვას ამთავრებენ.

თავმჯდომარე. იღებთ თუ არა პროექტს საბჭოს მიერ შესწორებულს მთლიანად?

სტიშინსკი. თანამოაზრეთა სახელით აცხადებს: კურიები მემარჯვენეთა მთელს ჯგუფს არ უარ-უყვია, არამედ ნაწილს. მეორე ნაწილს კი ეროვნულ კურიების შემოღება უმთავრესად, არსებითად და უსაჭიროესად სთვლის დასავლეთ მხარეში რუსეთის სახელმწიფოებრივობის უზრუნველ საყოფად. ჩემი თანამოაზრენი მეორედ წაკითხვის შემდეგ ამ პროექტს მხარს არ მისცემენ. ჩემი თანამოაზრენი ცრობის შემოღებას დასავლეთ 6 გუბერნიაში მეტად გონივრულ, სასარგებლო და უსაჭიროესად სთვლიან, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეროვნული კურიებიც იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მავნებლად მიგვაჩნია დასავლეთ მხარეში და რუსეთის საქმისათვისაც სახიფათოდ.

გრაფი ვიტტე. პროექტის წინააღმდეგია, რადგანაც იგი მართლმადიდებელ რუსის გლეხკაცობის ინტერესებს ძირითადად ვნებსო.

კოვალევსკის აზრით სახელმწიფოს ყველა ეროვნება კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. ამისათვის ორატორის მომხრე ჯგუფი პროპორციონალურ წარმომადგენლობას ემხრობა.

134 ხმის უმეტესობით 23 წინააღმდეგ კანონ-პროექტი უარ-ჰყვეს.

შემდეგი სხდომა 16 მარტს მოხდება.

# პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ

რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულია, სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის შვილთა შორის კაი ხანია დაიბადა და აღიზარდა თანაგრძნობა და სიმპატია საქართველოსადმი. ამ ქვეყანას ჰქვიან უკრაინა, ანუ მალოროსია. ამ სიმპატიურის ქვეყნის დიდებას და სიამაყეს შეადგენს ერთი საოცარი ნიჭით შემკული მგოსანი, რომლის გარდაცვალების დღიდან ამას წინად განვლო ორმოცდა-ათმა წელმა, რის გამოც გამოუთქმელი აღტაცებით მთელმა უკრაინამ გამართა იუბილეი ნიშნად თავისი სასიქადულო მგოსნის უღრმესი სიყვარულის და პატივისცემისა. მე მოგახსენებთ შევჩენკოზე, რომელიც იყო შვილი მოყმე გლეხისა და პირადად თავისს თავზე გამოსცადა უმძიმესი უღელი ბატონყმობისა. როცა ამ უღელს თავი დააღწია და გადაიქცა განვითარებულ ინტელიგენტად, შევჩენკოს დაადგა კისერზე კიდევ უფრო უარესი უღელი ბიუროკრატიამ.

მიუხედავად შესაზარის ბედისა, რომელიც წილად ჰხვდა შევჩენკოს, მან შეჰქმნა თავისს საყვარელს დედაენაზე იმისთანა მომხიბლავი პოეტური ქმნილებანი, რომ იგინი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულს ენაზე და დიდის სიხარბით იკითხებიან. მხოლოდ არ აქშვენებენ იგინი იმ ერთს ენას რომლის მდგომარეობასა და ტანჯვა-წვალებაზე ზედ გამოჭრილი არიან. ამ სამწუხარო გამოკლებას შეადგენს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, რომელსაც შევჩენკოს უკვდავი ქმნილებანი, ვიმეორებ ბევრად უფრო შეესაბამებიან, ვიდრე სხვა ენებსა და ერებსა.

აღვნიშნავ რა ამას, **ვურჩევ** ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით. ეს თარგმანები ჯერ ბეჭდონ ჟურნალ გაზეთებში და შემდეგ ცალკე კრებულად გამოსცენ, როგორც ეს მოიქმედეს საუკეთესო რუსულ მწერლებმა, რომელთაც მთელ ტომად გამოსცეს შევჩენკოს ლექსები და პოემები ამ სათაურით: „**Кобзарь Шевченко въ переводѣ русскихъ писателей**“.

**იაკობ გოგებაშვილი.**

---

**ზოგადოებაზე.** ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ჯერ ახალი კულტურული დაწესებულებაა, მას ჯერ კიდევ არ დაუწყია საქმიანობა, ის აღორძინების პერიოდშია და მოელის ხალხის ფართე მასის თანაგრძნობას. ამ კულტურულ დაწესებულების მიზანს ჩვენ უკვე ვიცნობთ. „სახალხო გაზეთი“-ს თებერვლის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ბ-ნ ს. ვ—ხ—. ფელეტონი, რომელიც ერთავად ამ დაწესებულების მიზნებს ეხებოდა.

ერთს დიდ დანაკლისად არსებულ სასოფლო სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ისინი დაფუძნებულნი არიან ერთნაირ ბიუროკრატიულ წესით. არც ერთი მათგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ. ს. წ. კ. გ. საზოგადოებას, თავის იმედებს ხალხის ფართო მასაზე არ ამყარებს. დასახელებული ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ერთიანად ხალხის იმედით უნდა აღორძინდეს, ის ხალხის შეძლებით და წარმატებით უნდა გაიფურჩქნოს. ამ დაწესებულებაში მიიღებენ საწევრო გადასახადით (8 მ. წლ.) ყველას, ვისაც აინტერესებს ჩვენი სოფლის კულტურა, ვისაც ხალხის ჭირი და ვარამი თავის ჭირად და ვარამად მიაჩნია.

ამ დაწესებულების მიზნის ყველა მუხლების ჩამოთვლას არ შეუდგებით. საამისოდ იხ. ბ. ს.-ვ.-ხ—ს ფელეტონი „სახალხოში“, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ დაწესებულების ასპარეზი ძალიან ფართოა. საჭიროა მხოლოდ დასახულ მიზნების ცხოვრებაში გატარება.

საქართველოს ცხოვრების შესწავლა ჩვენ გვიხსნის, რომ ზოგიერთ კუთხეში, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური და გონივრული კულტურის ნიადაგი მომზადებული აქვს, მეურნეობა სრულებით ვერ განვითარებულა, რადგან ხალხის ფართე მასას სათანადო საქმისათვის დამხმარე და ხელშემწყობი ამხანაგები არა ჰყოლიათ. შეძლების გარდა ხშირად ცოდნაცა და უნარიცაა საჭირო, რომ უმაღლეს კულტურის განხორციელებას შეუდგეთ და ამიტომ, რადგან ეს უკანასკნელი ჩვენ ხალხს ძალზე აკლია, ხსენებულ ახალ დაწესებულებას შეუძლიან ჭეშმარიტი და ხეირიანი ობიექტი გაიჩინოს თავის საქმიანობის გასაფართოებლად და ხალხის საკეთილდღეოთ.

სწორედ ასეთ ხელსაყრელ ნიადაგის არსებობით ვხედავთ ჩვენ, რომ ხსენებული დაწესებულება დროის შესაფერია, ხალხისათვის ფრიად საჭირო, ამიტომ სიმპატიური, რომელსაც ხალხის თვითმოქმედებით და სიხალისით შეუძლია თავის საქმის განცხოველებ-განვითარება.

ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია ვუსურვოთ ხალხსა და ხსენებულ საზოგადოებას, რომ მათ ხელიხელ ჩაკიდებული მძლავრად და ფართეთ დააყენონ თავიანთი საქმე, ენერგიულად შეიჭრან ჩვენს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და თავიანთი მოღვაწეობა არ შემოფარგლონ მარტო ტფილისის გუბერნიით, არამედ ფრთა გაშლილი, მთელს საქართველოს მოედოს, რომ სინათლემა და კულტურამ მიყრუებულ ადგილებშიაც კი შეანათოს...

**ფედ. დლონტი.**

# ხმები სტოლიპინის გადადგომის შესახებ

სტოლიპინმა თხოვნა გადაყენების შესახებ შაბათს შეიტანა. სტოლიპინს ურჩიეს კარგად მოეფიქრა ყველაფერი, ვიდრე თხოვნის ასრულებას დაბეჯითებით მოითხოვდა.

მთელ კვირა დღეს ცარსკოე სელოსა და პრემიერის სახლს შუა ლაპარაკი ტელეფონით სწარმოებდა.

ორშაბათს ცარსკოე სელოსთან მოლაპარაკება გავრცელდა. ამბობენ, რომ სტოლიპინმა თავის მოადგილეთ კოკოვცევი დაასახელაო. მან სთხოვა კოკოვცევს სამინისტროს თავმჯდომარეობა მომავალ ოთხშაბათს ჩაიბარეო.

საღამოთი 7 მარტს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სანდო წყაროებიდან ამბავი მიიღო: სტოლიპინის თხოვნა მისი გადაყენების შესახებ ასრულებულ იქმნაო.

სტოლიპინი თავის ადგილას იმ დრომდის დარჩება, ვიდრე გამოირკვევა თუ მისი ადგილი ვის უნდა ჩაჰბარდეს. პორთფელს სტოლიპინი თავის მოადგილეს ხელში გადასცემს.

კოკოვცევმა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ალექსეენკოს გამოუცხადა, რომ სტოლიპინის თხოვნა ასრულებული იქმნაო.

7 მარტს სტოლიპინმა მეგობრებს უთხრა, გადადგომა უცვლელად გადაწყვეტილი მაქვს და თხოვნას არაფრის გულისათვის უკან არ წავიღებო.

—

შაბათს, ხუთ მარტს. სტოლიპინი ცარსკოე სელოში მიიღეს. მას ალერსითა და თბილი გრძნობით დაუხვდნენ. სტოლიპინს თხოვნა თან არა ჰქონია, მაგრამ როცა პეტერბურგში დაბრუნდა „ტრეპოვის ისტორიის“ ზეგავლენით გადადგომა გადასწყვიტა და ამის შესახებ თხოვნა საღამოს 7 საათზე ცარსკოე სელოში გაგზავნა.

„ტრეპოვის ისტორია“ ასეთია: ცარსკოე სელოში დასავლეთ გუბერნიების წარმომადგენლები მივიდნენ და საერობო არჩევნების დროს ნაციონალურ კურიების დაწესება ითხოვეს.. ტრეპოვს განუცხადებია, რომ ეს დეპუტატთა დასავლეთ გუბერნიების წარმომადგენელნი კი არა, სტოლიპინის მოხელენი იყვნენო.

ეს ამბავი სტოლიპინმა შაბათ საღამოს გაიგო, როცა ცარსკოე სელოდან პეტერბურგს დაბრუნდა და მაშინვე გადადგომა ითხოვა.

სტოლიპინმა აღნიშნა, რომ ამ სესიაში კანონ-პროექტებთა მეტ ნაწილს სახელმწიფო საბჭო იხილავდა. სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობა კი კაბინეტის აზრებს არ ეთანხმებოდა. სტოლიპინმა ასეთი ტაქტიკა წმინდა პოლიტიკურ ინტრიგებად ჩასთვალა და განაცხადა, ამის შემდეგ ჩემს თანამდებობაზე დარჩენა შეუძლებელიაო.

უმაღლეს წრეებში ძალიან ენანებოდათ, რომ სტოლიპინი სამსახურს თავს ანებებდა და დარჩენას ურჩევდნენ.

—

„კასპი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: „ბირჟევ. ვედომოსტის“ საღამოს ნომერი იუწყება, სტოლიპინმა თავისი თხოვნა უკანვე წაიღოვო.

პეტერბურგის უმაღლესი წრეები სტოლიპინის ადგილზე დატოვებას სცდილობენ. გაზეთები ამბობენ, სათათბიროში მყოფ გლეხთა რეზოლუციამ ბიუროკრატებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. რეზოლუცია ამბობს, თუ სტოლიპინი გადადგება, გლეხებში თავად-აზნაურთა საწინააღმდეგო მოძრაობა გავრცელდებაო. ამბობენ სტოლიპინთან მოსალაპარაკებლად ცარსკოე სელოდან გრაფი ბედრიკოვი მოვიდა. ხმა გავრცელდა, თუ სტოლიპინის თანამდებობაზე დარჩენა მოხერხდა, მაშინ ყველას, ვინც კი სამინისტროს კრიზისი გამოიწვია, სამსახურიდან დროებით გაანთავისუფლებენო.

დეპეშათა სააგენტო იუწყება: ცნობათა შემკრები ბიურო გვაცნობებს, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრები დურნოვო და ტრეპოვი 1912 წ. 1 იანვრამდის სამსახურიდან იქმნენ დათხოვნილებიო.

# რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

პეკინიდან იტყობინებიან: ჩინელების საპასუხო ნოტას მშვიდობიანი კილო აქვს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ უთანხმოება გათავდა და საქმე მოეწყო. ჩინელები რუსების იმ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ, რაც მანჯურიას შეეხება. დანარჩენ საკითხებში კი, ნაოსნობას მდ. სუნგარზე, რუსთა სადამოენო უფლებას ჩრდილოეთ მანჯურიაში, რუსთა მოსახლეობის დამცველ რაზმების გადიდებას და მანჯურიაში კონცესიის დაცვას, ჩინეთის მთავრობა რუსეთს ვერ დააკმაყოფილებს. ჩინეთის მთავრობა, უეჭველია, წინადადებას მისცემს რუსებს, საერთო საქმეების მოსაწყობად კომისია შესდგეს. რუსეთის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას იმიტომ ვერა ჰბედავენ, რომ პროვინციალური საბჭოები სავაჭრო საზოგადოებები და ვიცე-კოროლების პროტესტს აცხადებენ.

სამხედრო კრების უკანასკნელ სხდომაზე, სამხედრო მინისტრმა ინჩანგმა 4000 აფიცრის და 11.000 სტუდენტებისა და მოხელეების სია წარუდგინა. ესენი თხოულობენ რუსებს წინააღმდეგობა გაუწიოთო. როცა მინისტრს ჩინეთის მოუმზადებლობაზე მიუთითეს, მან განაცხადა, რომ ერთი მილიონი მამულიშვილები მოვმეცით, თუნდ შეუიარაღებელნი და ევროპას წმინდა მიწიდან განვდევნიო.

—

იქიდანვე ცნობა მოვიდა: მოლაპარაკების კილო, რომელიც აქამდის მშვიდობიანი იყო, ძალიან შეიცვალა და მკვახე ხასიათი მიიღოვო. საქმის მშვიდობიანად დაბოლოება ძალიან საეჭვოაო.

—

ჯარის მოძრაობის შუაგულ ადგილად ხარბინი შეიქნა. ჩინელების უმთავრესი ძალები აქ იკრიბება. ამათმა უმრავლესობამ მანჯურია გადაიარა. ჯარში ბევრი ცხენოსანია. ზარბაზნები ძველებურია, გერმანიის ყაიდისა, არტილერისტები ცოტანი არიან. ჩინელი ჯარის კაცები მხნედ არიან და სწამთ, რომ სამშობლოსათვის ბრძოლა საჭიროა.

საერთო აზრი ისეთია, რომ ბოქსიორებთა მოძრაობა აუცილებელია. ჰაერი გაჟღენთილია და ჰექა-ქუხილს დღე-დღეზე მოელიან. ვაჭრებსა და მცხოვრებთა შორის ხმაა გავრცელებული, საომარ მოქმედებას 12 მარტს დაიწყებენო. ამ ხმებს ყველა ქუჩის ადამიანი ისე ჯიუტად იმეორებს, რომ უეჭველია ხმებს ერთი და ძალიან ავტორიტეტიული სათავე უნდა ჰქონდეს.

რუსები ხარბინში აღელვებულ გუნებაზე არიან. ყველაფერი, რაც ხდება, ხდება არაფრით არა ჰგავს იმ ხმებს, რომელიც არეულობის შესახებ ყოველ-წლივ ისმოდა. ჯარს განსაზღვრულ გეგმაზე ამოძრავებენ. ფუნძიაშიაც აგროვებენ ჯარს. ამას იმით ამართლებენ, რომ ჯარები ჭირთან საბრძოლველად იგზავნებაო, თუმცა ფუნძიანი ჩინელ მმართველების მიერვე ჭირის მხრით უშიშრადაა ცნობილი.

ხარბინის გარშემო სოფლის პოლიცია შეიარაღებულია და პატრონები აქვს დარიგებული. ჩინელ[illegible]ბის გლეხებ ისაგან [illegible] დულობენ—უეჭველია ჯარისათვის. ყოველ-ნაირ გზებს რუსის ჯარები ერთგულად იცავენ. ამ ჯარებს 1900 წელს კიდევაც ჰქონია ჩინელებთან შეტაკება და მანჯურიის პირობებს კარგად იცნობენ.

ხარბინის ქუჩებში ჩინელი ჯარის კაცები თოფებით დადიან. აუარებელი მოსული ჩინელი დაძრწის. ეტყობათ სამხედროდ გაწვრთნილები არიან. რკინის გზის მოსამსახურენი თავიანთ ოჯახებს ხარბინში ისტუმრებენ.

პეკინში ხმა გავრცელდა სამხედრო მინისტრი ინჩანგი მთავარ-სარდლად დაინიშნა და ამ დღეებში მუკდენს მიდისო. აქ ინჩანგი იმ ჯარების უმფროსობას ჩაიბარებს, რომელიც ხუნხუზების წინააღმდეგ არის გაგზავნილი.

ხარბინში მყოფი ჩინელი ვაჭრები სავაჭროებს ჰხურავენ, ბოქსიორებისა გვეშინიაო.

ციციკარ-გირინსა და მუკდენ-პეკინის შუა გზები დიდ-კედლამდის ჯარებითა და ურმებითაა დაჭერილი. უფრო მეტი ცხენოსანი ჯარებია, ჯარებს გერმანული ტყვიის მტყორცნელებიცა აქვთ. ჩინელები ამბობენ, ეს ჯარები ბოქსიორთა მოძრაობის დასამშვიდებლად მიდისო.

გირინის სადიპლომატიო ბიუროში პეკინიდან დეპეშა მოვიდა. იტყობინებიან: ჩინეთის მთავრობა უთანხმოებას მშვიდობიანობით გაათავებს, რადგან ჩინეთი ომისათვის ჯერ მოუმზადებელიაო. ამავე დროს ციციკარსა და გირინის ოლქებში მობილიზაცია ხდება. ხუნხუზები აქეთ ძალიან ბევრია. მათ ჯარებში იღებენ.

ხაილარში მყოფი ჩინელების ბატარეია, რომელსაც ორი ზარბაზანი ჰქონდა, ხარბინიდან წავიდა. მის ადგილას სხვა ორი ბატარეია მოვიდა.

მანჯურიიდან ციციკარში მოსული ჯარები ჩრდილოეთისკენ მიდიან. მცხოვრებთა და ჯარში ხმა გავრცელდა: ჯარები მონგოლეთში მიდიან, რომ რუსებს მონგოლეთის ხელში ჩაგდება შეუშალონო. ბრიუსელის სამხედრო აკადემიაში ძოსწავლე ჩინელებს ბრძანება მოუვიდათ, მზად იყავით, რომ საჭიროებისამებრ სამშობლოში დაუყოვნებლივ დაბრუნდეთო.

მუკდენსა და პეკინს შუა უმავთულო ტელეგრაფს საჩქაროდ აშენებენ. ტელეგრაფი მხოლოდ სამხედრო საჭიროებისთვისაა დანიშნული.

ჩინური გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ რუსის მოსაზღვრე ჯარების უფროსად შედარებით ახალ-გაზრდა 47 წლის გენერალი მარტინოვი დაინიშნა. გაზეთები ამბობენ: ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ რუსებს ომის დაწყება სურთო. რუსები ჯარებს ჯარვენტთან აგროვებენ, რადგანაც სურთ ჩვენი ყურადღება მანჯურიას მოაშორონ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ომი მოხდა, მანჯურია მოქმედების უმთავრეს ადგილად გადიქცევაო.

ბერლინელ გაზეთებსა და საპოლიტიკო წრეებში ის აზრია გავრცელებული, რომ ჩინელები მშვიდობიან გუნებაზე არ არიან, საპასუხო ნოტა საკითხს ვერ მოსპობს და რუსეთისაგან მუქარა ახალ ნოტას გამოიწვევს. ჩინელები პასუხს იმიტომ აგვიანებენ, რომ საპასუხო ვადა გავიდეს, შემდეგ საქმის ხელახლად გადათვალიერებას მოითხოვენო.

მანჯურიაში ჯარების გაძლიერებას და მათ საზღვრებთან მოახლოვებას იმითი ხსნიან, რომ ჩინეთი ემზადება: რა წამს ხელ-საყრელი წუთი დადგება, რუსებს უარს ეტყვის და შეტაკებას ადვილად გამოიწვევს.

—

ვენურ გაზეთის „Zeit“-ის კორესპონდენტს რუსის ერთ დიპლომატთან ულაპარაკნია. დიპლომატის აზრი ასეთია: ჩინელი დიპლომატები

საკმაოდ ცნობილნი არიან. ჯერ ისევ მაშინ, როცა პეტერბურგში ჩინელებმა პირველ ნოტის პასუხი გამოგზავნეს, ყველა ფიქრობდა, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელიაო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რუსეთს მეორე უფრო მკვახე კილოიანი ნოტის გაგზავნა დასჭირდა. თუ ჩინელები მეორე ნოტაზედაც ისევე ორჭოფ პასუხს გამოჰგზავნიან, მაშინ რუსები მოკლე ვადიან ნოტას გაუგზავნიან. რუსეთი ყოველ შემთხვევისათვის მზად არის და თავის სახელის დასაცავად ყოველ საჭირო ზომებს მიიღებს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

### საზღვარ-გარეთ.

**ხოფია.** პროგრესისტების მეთაურის დანოვის, რომელსაც სამინისტროს შედგენა აქვს დავალებული, სახალხო პარტიის მეთაურის გეშოვთან მოლაპარაკება საერთო კაბინეტის შედგენაზე არ მოხერხდა.

**თავრიზი.** რამდენიმე თვის წინად დატუსაღებული ემირ-ნიშზეთი, უკიდურეს რევოლუციონერის მეთაური და ყოფილი პოლიცმეისტერი, მეშედში გაიგზავნა.

**ვაშინგტონი.** სამხედრო დეპარტამენტმა 6000—7000 რეკრუტის მოგროვება ბრძანა. ეს ჯარი სამობილიზაციო ჯარების შესავსებლად უნდათ. აგუაპრატში (მექსიკა) კავშირის ჯარებს და ინსურგენტებს შეტაკება მოუვიდათ. ინსურგენტებს 36 კაცი მოუკლეს, მთავრობის ჯარს—8.

**ხტამბოლი.** იემენიდან იტყობინებიან: ასირის პროვინცია ასმა აჯანყებულმა არაბებმა დაიპყრესო. პროვინციის უმთავრეს ქალაქის ბედი აშინებთ. აქ ბევრი იარაღი და სურსათი ალაგია. ოსმალეთ ხებების საზღვარზე სერიოზული ინციდენტი მოხდა. სროლამ დღელამეს გასტანა.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრს ვიკონტობა ებოძა და ლორდთა პალატაში შევიდა. ლონდონსა და გლასგოში ზინგერის ქარხნის 10.000 მუშა გაიფიცა.

**ბერლინი.** ლანდტაგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პრუსიიდან რუსების გაძევების შესახებ განკარგულება, არა ყოფილაო, 1801 წ. ჩვეულებაა, უცხოელებს მოსაზღვრე ქალაქებში შესვლის დროს ეცხადება, რომ დიდხანს დარჩენა აკრძალულიაო. ამის ნება მხოლოდ ვაჭრებს ეძლევათ. 10 წლის ბავშვებს, რუსეთში გზავნიდნენ.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. გრეიმ ბაღდადის გზაზე ილაპარაკა. როცა სპარსეთის საქმეებს შეეხო სთქვა, რომ რუსეთის ჯარის სპარსეთში ყოფნა სპარსეთის მთავრობას არას უშლიდა. სპარსეთში რუსის ჯარები რომ არა ყოფილიყვნენ, რეაქციონერები ნაციონალისტებს დაამარცხებდნენ და შახი ტახტიდან ჩამოგდებული არ იქნებოდაო. ტყუილია, ვითომ რუსის ჯარი რეაქციონერებს უჭერდნენ მხარს. შახი მაშინ ჩამოაგდეს ტახტიდან, როცა რუსის ჯარები სპარსეთში შევიდა. ამას წინად ბრიტანიის კონსულებმა შეგვატყობინეს, რომ თუ ჯარი გაყვანილი იქნება სპარსეთში ანარქია გაბატონდებაო. საქმეთა მდგომარეობა ახლა არც ისე სახიფათოა, რომ ჯარები ყაზვინიდან გაიყვანონ. რუსის ჯარების ყაზვინში დგომა, სპარსეთის სახელს ამცირებდა, რადგანაც ყაზვინი სპარსეთის დედა-ქალაქთან ახლოაო. გრეის სწამს, რომ სპარსელები ამით კმაყოფილნი არიან. შემდეგ გრეიმ სთქვა, რომ ინგლის-რუსეთის შეთანხმება, სპარსეთის დამოუკიდებლობას არას უშლიდა. ანარქია სპარსეთში გაძლიერდა, მაგრამ არეულობის დროს საქმეში ჩარევამ იგი ახლანდელ დონეზე დააყენა. რუსეთ-ინგლისის ხელ-შეკრულებებში ისეთი არაფერია, რომ ერთი სახელმწიფოს მოქმედებით მეორის პასუხის მგებლობა გამოეწვიაო.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭოსი და სათათბიროს სხდომები 1911 წ. 15 მარტამდე შესწყდა.

**პეტერბურგი.** პირველ არმიის კორპუსის კომენდანტი არტილერიის გენერალი ნიკიტინი დაინიშნა ზაბაიკალის ჯარების ოლქის უფროსად და ზაბაიკალის ყაზახთა ატამანად დაინიშნა.

**პეტერბურგი.** დურნოვოს საბჭოს მემარჯვენეთა ფრაქციის თავმჯდომარეობას თავი დაანება და ფრაქციიდან გავიდა.

**პეტერბურგი.** სასამართლომ „ნოვოე რუსი“-ს რედაქტორს ციხეში დატუსაღებულის მასხარად აგდებისათვის ერთი კვირით ციხე მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ პეშეხონოვს 16 თვით ციხე მიუსაჯა. პეშეხონოვმა შემდეგი წიგნები გამოსცა: „სახადელო მიწების ხმარების ძველი და ახალი წესები“, „სინათლე და თავისუფლება“ და კრებული „სათადარიგო თემები“.

„სახალხო თავისუფლების პარტიის უწყები-“ს რედაქტორს ბლოკს ერთი წლით ციხე მიესაჯა.


## განცხადებანი

### დოქტ. ნაგასარდიანცა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. სახებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მეულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ· და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეევხკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წ ა მ ლ ო ბ ა

**კონსულტატიურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

ВѢРНЫЙ ДРУГЪ ЖЕНЩИНЪ

КРЕМЪ КАЗИМИ

МЕТАМОРФОЗА

ПРОДАНО БОЛѢЕ ДВУХЪ МИЛЛІОНОВЪ БАНОКЪ

РАДИКАЛЬНО УСТРАНЯЕТЪ

ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА, МОРЩИНЫ И ДРУГІЕ ДЕФЕКТЫ ЛИЦА

УТВ. ДЕПАРТ. ТОРГ. И МАНУФ. ЗА № 4683

ТРЕБУЙТЕ ПОДПИСЬ *Calimi*

Метцль. 32829. (6—1139—1)

## თესლეულობა

ყოველგვარი, უმაღლესის ღირსებისა და თავდებობით, რომ აღმოცენდება, გალიებული ხახვის თავი და სენდრო. ფასები ზომიერზე დაბალი. **თესლეულობის დეპო კოველისა** მიხეილის პროსპექტი 27.

(3—500—3)



1 პირველი კავკასიური

## თესლეულობის დეპო ლ ა რ მ ე

1872 წლიდან არსებობს.

№ 10 მიხეილის პროსპექტი № 10.

ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების

### ნაცად თესლეულობას

ბაღოსნოს
ყვავილებისას
მცენარეულისას
ხეებისას

და საუკეთესო საზრდოს ბალახისათვის გირვ. 25 კ. პრეისკურანტი მოთხოვნილებისამებრ უფასოდ ეგზავნებათ. (10—1121—4)

# პრემია

არტისტიული-საზოგადოება პორტრეტებისა აცნობებს ამ გაზეთების მკითხველებს, რომ იგი გასაოცრად მიმხგავსებულს, გადიდებულს სურათს, სიგანით 38 სანტ., სიმაღლით 48 სანტ., ამლევს სრულიად უსასყიდლოდ, ოღონდ კი ამ პრემია-პორტრეტის მიმღებმა თავის ნაცნობებსა და ნათესავებს გააცნოს ჩვენი საზოგადოება. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი გვარი და ადრესი თქვენის ფოტოგრაფიის შეორე გვერდზე ამ ადრესით: Общество Семи-Эмаль, Лодзь N 172. თქვენი სურათი დაგიბრუნდებათ სრულიად გაუფუჭებელი. გაგზავნ-გამოგზავნის ხარჯად გთხოვთ 95 კ. გამოაყოლოთ მარკებით, ან ფას-დადებით. ჯგუფში იმ პირს, რომელიც უნდა გადიდებულ იქმნას, დაუსვით ნიშანი X. მიწერ-მოწერა რუსულად.

Метцль. 20846. (5—1130—2)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პიჩილინი“

ჩქარად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. (45—1014—6)



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

## ალექსანდრე თაბაგრის მაღაზია

### საკერავი და საქსოვი მანქანები

გრამოფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება დამზადებული საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მანქანებს აქვს წარწერა „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАВАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში



გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

(50—269—14) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

## თესლეულობა

### თ. პიტმარიშვილი და ამხ. ქუთაისში

იყიდება: იონჯისა, სამყურისა, კოინდრისა, **დაფნის თესლის** გირვანქა 60 კ., ეკლის ხისა, ბეოლის და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა **თესლეულობას**. ნერგები: ნამყენი ხეხილებისა, ეკლის ხის, **დაფნისა** და ბალის სხვა და სხვა ვარდისა. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. (30—1104—7)

## საკერავი მაშინა ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—246—16)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძებველოვების მ ა ღ ა ზ ი ა ს

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).

### ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიირთვით საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

მიირთეთ ახალი ნაბაგა

(5—125—124)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

◀ „სორაპანის“ ამხანაგობის გამოცემა ▶

## ქართველი და უცხოელი მწერლები

წიგნი მეექვსე

მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.

## დრამები და კომედიები

წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით

ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც **ქართველ** აგრეთვე **უცხოელთა დრამატურგების** ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.

**არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.**

**წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.

**წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა**

ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: **Тифлисъ типографія „Сорапань“.**

ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) **„ნოვაია რეჩის“** მაღაზიაში, კიკნაძესთან, 3) **„ალიონის“** მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან.

(15—1100—7)

## უმაღლეს ხარისხის ჩ ა ი გ უ ზ ე ვ ი ნ კუზნეცოვის ამხ.-სა

სავაჭრო ნიშანი

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

იშოვება ყველგან

### ჩაისა და ყავის ვაჭრობა ნაღდად

**ტფილისის კანტორა:** ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.

(20—140—17)

● მაქვს პატივი გაცნობოთ, ●

ქალაქ ტფილისში, კიროჩნი ქუჩა, N 21, ტელეფონი N 925.

**მაქვს ავეჯით მოწყობილი ნომრები,**

## ოტელ-იმპერიალი

**ნომრები არის ახალი ავეჯით მოწყობილი და ელექტრონით განათებული,**

და საგრძნობელი სისუფთავით შენახული. მოსამსახურენი ზრდილობიანნი. ახლო აქვს სასტუმროს ტრამვაის სადგომი, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა და ყოველივე სავაჭრო დაწესებულება.

**ნომრები: 1 მანეთიდან 3 მ 50 კაპეიკამდის**

მობრძანდებით და პირადად მოგელაპარაკებით, დაგეთმობათ დიდის შეღავათით.

(10—1113—7)

## სააქციონერო საზოგადოება

# გრამოფონი

✦ განყოფილება კავკასიისა და ამიერ-კავკასიისათვის ✦

ტფილისი, გოლოვინის პრ., № 9.

## საყურადღებო ამბავი!

გრამოფონების ფირფიტების, რომელსაც ნიშნად აქვთ

„მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი“,

## ფასებმა ძალზე დაიწია.




**ფირფიტების ახალი ფასები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | შავი ეტიკეტით, ორ-მხრივი | 2 მან. | — | კაპ. |
| 10 | „ „ „ | 3 „ | — | „ |
| 7 | ყავის-ფერ ეტიკეტით ორ-მხრივი | — | 75 | „ |
| 10 | „ „ „ | 1 „ | 50 | „ |
| 12 | „ „ „ | 2 „ | — | „ |

„მწერავი ანგელოზი“,

ისარგებლეთ შემთხვევით და

მობრძანდით სააქც. საზოგადოება

## გრამოფონი-ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

საწყობში გვაქვს დიდძალი ფირფიტები:

რუსული, მალორუსული, სპარსულ-თათრული, ქართული, სომხური

და ყველა უცხო ენაზე დაწერილი.

მოითხოვეთ უფასოდ კატალოგები და დამატებითი სიები!

(20—10—6 62)


მიმართეთ კონტორი სტამბა „სორაპანი“

რედაქტორ-გამომცემელი ირაკლიონ სოსლუაშვილი.